ხელშეკრულება № 257

ქ.ქუთაისი 24 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით და მეორე მხრივ **ი/მ „ტარიელ რევიშვილის“ სახით** (შემდგომში მიმწოდებელი) სახით გამართივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ნარჩენების გატანის მომსახურეობის შესყიდვის (cpv-90512000 - ნარჩენების გატანის მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **80.00 (ოთხმოცი)** ლარს.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. **სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.**

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგსდასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ სსიპ კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ბერიკა უშვერიძე.

4.2. მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.საქონლის მიწოდების ვადა

5.1. მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებილი მომსახურეობის ღირეულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურეობის იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.1. პუნქტში.

7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირბების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ველდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეათანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არ უნდა უარესდებოდეს ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადახედვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტისთ გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შემდეგ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებიტ შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზამპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პირობებში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „იბერია“
მის: ქ.ქუთაისი ნიკეას №12
საიდენტიფიკაციო კოდი:212682051
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ხაზინის კოდი: 709137509
ირაკლი ავალიანი

მიმწოდებელი:

ი/მ „ტარიელ რევიშვილი“
ქ.ქუთაისი გამსახურდიას №5/8
საიდენტიფიკაციო კოდი: 60002015488
„საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ: GE 50 BG 0000000 103 239 920
ტარიელ რევიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახემწიფო შესყიდვების შესახებ„ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ხელმოწერილით ვადასტურებთ, რომ ი/მ „ტარიელ რევიშვილი“-ს შესყიდვების განხორციელებაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯის „იბერია“

დირექტორი: /ი.ავალიანი/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/